

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი

ეროვნული კომისიის

დადგენილება №22
2016 წლის 22 სექტემბერი

ქ. თბილისი

„ელექტროენერჯის ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 30 ივლისის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია ადგენს:

მუხლი 1

„ელექტროენერჯის ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 30 ივლისის №14 დადგენილების (ვებგვერდი, 05.08.2014, 300320000.16.009.016091) მე-2 პუნქტით დამტკიცებულ „ელექტროენერჯის წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციის და ელექტროენერჯეტიკული ბაზრის ოპერატორის მომსახურების ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიაში“ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) გარანტირებული სიმძლავრის წყაროს წარმოების ტარიფი – გარანტირებული სიმძლავრის წყაროს მიერ წარმოებული ელექტროენერჯის ფასი, რომელშიც აისახება უშუალოდ ელექტროენერჯის წარმოებასთან დაკავშირებული საოპერაციო დანახარჯები და აგრეთვე, 2010 წლის შემდეგ აშენებული თბოელექტროსადგურის შემთხვევაში, მუდმივი (ფიქსირებული) დანახარჯების ნაწილი საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული პროცენტული წილის შესაბამისად.“;

ბ) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) გარანტირებული სიმძლავრის საფასური – გარანტირებული სიმძლავრის წყაროს მიერ ქვეყნის ერთიანი ელექტროენერჯეტიკული სისტემის გარანტირებული სიმძლავრით უზრუნველყოფისათვის დადგენილი საფასური, რომელიც უზრუნველყოფს გარანტირებული სიმძლავრის წყაროს კაპიტალური დანახარჯებისა და ფიქსირებული საოპერაციო დანახარჯების ანაზღაურებას, 2010 წლის შემდეგ აშენებული თბოელექტროსადგურის შემთხვევაში კი საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული პროცენტული წილის შესაბამისად.“;

გ) მე-15 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. გარანტირებული სიმძლავრის საფასური იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$Q_{(t+1)} = \frac{OPEX_{\text{ფიქს}}(t+1) + CAPEX(t+1)}{N(t+1)} \times K \quad (8),$$

სადაც:

$Q_{(t+1)}$ – გარანტირებული სიმძლავრის საფასური სატარიფო წლისთვის (t+1) (ლარი/დღე);



$OPEX_{ფიქს(t+1)}$ – საწარმოს ფიქსირებული საოპერაციო დანახარჯები სატარიფო წლისთვის (t+1) (ლარი);

$CAPEX_{(t+1)}$ – საწარმოს კაპიტალური დანახარჯები სატარიფო წლისთვის (t+1) (ლარი);

$N_{(t+1)}$ – გარანტირებული სიმძლავრის წყაროს მზადყოფნის დღეების დაგეგმილი რაოდენობა სატარიფო წლისთვის (t+1);

K – 2010 წლის შემდეგ აშენებული თბოელექტროსადგურების შემთხვევაში საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული კომისიის მიერ დადგენილი ფიქსირებული საოპერაციო დანახარჯების და კაპიტალური დანახარჯების პროცენტული წილი, რომელიც გარანტირებული სიმძლავრის საფასურით უნდა ანაზღაურდეს. 2010 წლის ჩათვლით აშენებული თბოელექტროსადგურების შემთხვევაში $K=1$.“;

დ) მე-15 მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოების ტარიფში აისახება როგორც უშუალოდ ელექტროენერჯის წარმოებასთან დაკავშირებული საოპერაციო დანახარჯები, (მათ შორის: სათბობის, ქიმიური რეაგენტების და კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ხარჯები) ასევე 2010 წლის შემდეგ აშენებული თბოელექტროსადგურის შემთხვევაში, კაპიტალური და ფიქსირებული საოპერაციო დანახარჯების ის ნაწილი, რომელიც გარანტირებული სიმძლავრის საფასურში არ აისახა.“;

ე) მე-15 მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოების ტარიფი იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$T_{ცვლ}(t+1) = \frac{OPEX_{ცვლ}(t+1) + cFC_{(t+1)} + (OPEX_{ფიქს}(t+1) + CAPEX_{(t+1)}) \times (1-K)}{E_{გაც}(t+1)} \times 100 \quad (9),$$

სადაც:

$T_{ცვლ}(t+1)$ – გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოების ტარიფი (თეთრი/კვტსთ);

$OPEX_{ცვლ}(t+1)$ – გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ცვლადი საოპერაციო დანახარჯები სატარიფო წლისთვის (ლარი);

$cFC_{(t+1)}$ – გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოებისათვის საჭირო სათბობის (ბუნებრივი აირი, მაზუთი, ქვანახშირი) შესყიდვის დანახარჯის, ამ მეთოდოლოგიის მე-20 მუხლის 1¹ ან 1² პუნქტებით განსაზღვრული კორექტირებული ოდენობა (ლარი);

$E_{გაც}(t+1)$ – გარანტირებული სიმძლავრის წყაროს მიერ სალტეზე გაცემული ელექტროენერჯის რაოდენობა სატარიფო წლისთვის (კვტსთ);

K – 2010 წლის შემდეგ აშენებული თბოელექტროსადგურების შემთხვევაში საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული კომისიის მიერ დადგენილი კაპიტალური და ფიქსირებული საოპერაციო დანახარჯების პროცენტული წილი, რომელიც გარანტირებული სიმძლავრის საფასურით უნდა ანაზღაურდეს. 2010 წლის ჩათვლით აშენებული თბოელექტროსადგურების შემთხვევაში $K=1$.“;

ვ) ამოღებულ იქნეს 21-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.



საქართველოს ენერჯეტიკისა და
წყალმომარაგების მარეგულირებელი
ეროვნული კომისიის თავმჯდომარე
კომისიის წევრი
კომისიის წევრი

ირინა მილორავა

გოჩა შონია
გიორგი ფანგანი

